

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №42
2021 წლის 26 ნოემბერი

ქ. სენაკი

სენაკის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 78-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს: დამტკიცდეს სენაკის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტი თანდართული რედაქციით:

თავი I

სენაკის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები

მუხლი 1. ბიუჯეტის ბალანსი

ბიუჯეტის ბალანსი განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათასი ლარი

დასახელება	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა			2022 წლის პროგნოზი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
I. შემოსავლები	18804,4	19127,5	6661,5	12466,0	14746,2	0,0	14746,2
გადასახადები	8968,0	10982,2	0,0	10982,2	13159,5	0,0	13159,5
გრანტები	8515,4	6856,5	6661,5	195,0	220,0	0,0	220,0
სხვა შემოსავლები	1321,0	1288,8	0,0	1288,8	1366,7	0,0	1366,7
II. ხარჯები	8590,2	10241,4	479,2	9762,1	12736,8	0,0	12736,8
შრომის ანაზღაურება	1796,8	1909,6	0,0	1909,6	3287,4	0,0	3287,4
საქონელი და მომსახურება	1002,9	1507,3	340,7	1166,6	1252,0	0,0	1252,0
პროცენტი	33,2	35,0	0,0	35,0	35,0	0,0	35,0
სუბსიდიები	4601,8	5434,8	0,0	5434,8	6972,2	0,0	6972,2
გრანტები	3,9	30,0	0,0	30,0	30,0	0,0	30,0
სოციალური უზრუნველყოფა	613,7	682,9	0,0	682,9	858,7	0,0	858,7
სხვა ხარჯები	537,8	641,8	138,5	503,2	301,5	0,0	301,5



III. საოპერაციო სადღო	10214,3	8886,1	6182,2	2703,9	2009,4	0,0	2009,4
IV. არაფინანსური აქტივების ცვლილება	9995,2	10607,2	6553,8	4053,4	2958,1	0,0	2958,1
ზრდა	10107,9	10807,2	6553,8	4253,4	3108,1	0,0	3108,1
კლება	112,7	200,0	0,0	200,0	150,0	0,0	150,0
V. მთლიანი სადღო	219,0	-1721,1	-371,6	-1349,5	-948,7	0,0	-948,7
VI. ფინანსური აქტივების ცვლილება	167,7	-1772,4	-371,6	-1400,9	-1000,0	0,0	-1000,0
ზრდა	552,9	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
ვალუტა და დეპოზიტები	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
კლება	385,2	1772,4	371,6	1400,9	1000,0	0,0	1000,0
ვალუტა და დეპოზიტები	385,2	1772,4	371,6	1400,9	1000,0	0,0	1000,0
VII. ვალდებულებების ცვლილება	-51,3	-51,3	0,0	-51,3	-51,3	0,0	-51,3
კლება	51,3	51,3	0,0	51,3	51,3	0,0	51,3
სამინაო	51,3	51,3	0,0	51,3	51,3	0,0	51,3
VIII. ბალანსი	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0

მუხლი 2. ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება
ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება განისაზღვროს

ათასი ლარი

დასახელება	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა			2022 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები	18917,1	19327,5	6661,5	12666,0	14896,2	0,0	14896,2
შემოსავლები	18804,4	19127,5	6661,5	12466,0	14746,2		14746,2



არაფინანსური აქტივების კლება	112,7	200,0	0,0	200,0	150,0		150,0
გადასახდელები	18749,3	21099,8	7033,0	14066,8	15896,2		15896,2
ხარჯები	8590,1	10241,3	479,2	9762,1	12736,8	0,0	12736,8
არაფინანსური აქტივების ზრდა	10107,9	10807,2	6553,8	4253,4	3108,1	0,0	3108,1
ვალდებულების კლებას	51,3	51,3		51,3	51,3		51,3
ნაშთის ცვლილება	167,8	-1772,3	-371,5	-1400,8	1000,0	0,0	-1000,0

მუხლი 3. ბიუჯეტის შემოსავლები

ბიუჯეტის შემოსავლები განისაზღვროს 14746,2 ათასი ლარის ოდენობით.

ათასი ლარი

დასახელება	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა			2022 წლის პროგნოზი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	18804,4	19127,5	6661,5	12466,0	14746,2	0,0	14746,2
გადასახადები	8968,0	10982,2	0,0	10982,2	13159,5	0,0	13159,5
გრანტები	8515,4	6856,5	6661,5	195,0	220,0	0,0	220,0
სხვა შემოსავლები	1321,0	1288,8	0,0	1288,8	1366,7	0,0	1366,7

მუხლი 4. მუნიციპალიტეტის საგადასახადო შემოსავლები

ბიუჯეტის გადასახდელები განისაზღვროს 13159,5 ათასი ლარით

ათასი ლარი

დასახელება	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა	2022 წლის პროგნოზი
გადასახადები	8968,0	10982,2	13159,5
სამშენობლო გადასახადი	0,0	0,0	0,0
ქონების გადასახადი	1678,3	1450,0	1600,0
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	1156,5	1150,0	1300,0
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	15,3	0,0	0,0
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	301,4	110,0	110,0
ფიზიკურ პირებიდან	161,5	50,0	50,0



იურიდიულ პირებიდან	139,9	60,0	60,0
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	205,0	190,0	190,0
ფიზიკურ პირებიდან	30,7	30,0	30,0
იურიდიულ პირებიდან	174,3	160,0	160,0
გადასახადები საქონელსა და მომსახურებაზე	7289,7	9532,2	11559,5
დამატებული ღირებულების გადასახადს	7289,7	9532,2	11559,5

მუხლი 5. ბიუჯეტის გრანტები

ბიუჯეტის გრანტები განისაზღვროს 220,0 ათასი ლარით

ათასი ლარი

დასახელება	2020 წლის ფაქტიური შესრულება	2021 წლის გეგმა			2022 წლის პროგნოზი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
გრანტები	8515,4	6856,5	6661,5	195,0	220,0	0,0	220,0
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და სხვა ქვეყნის მთავრობიდან მიღებული გრანტები	60,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
სხვა დონის სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული გრანტები	8455,4	6856,5	6661,5	195,0	220,0	0,0	220,0
გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან	8455,4	6856,5	6661,5	195,0	220,0	0,0	220,0
მიმდინარე	744,8	486,8	291,8	195,0	220,0	0,0	220,0
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	444,8	486,8	291,8	195,0	220,0	0,0	220,0
სპეციალური ტრანსფერი	300,0	0,0		0,0	0,0		0,0
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები (კაპიტალური)	7710,7	6369,7	6369,7	0,0	0,0	0,0	0,0
კაპიტალური ტრანსფერი (რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი)	7710,7	6369,7	6369,7	0,0	0,0	0,0	0,0

მუხლი 6. ბიუჯეტის სხვა შემოსავლები



დასახელება	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა	2022 წლის პროგნოზი
სხვა შემოსავლები	1321,0	1288,8	1366,7
შემოსავლები საკუთრებიდან	398,9	325,0	327,6
პროცენტები	117,5	80,0	100,0
დივიდენდები	85,0	80,0	60,0
რენტა	196,4	165,0	167,6
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	154,0	140,0	140,0
შემოსავალი მიწის იჯარადან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	42,5	25,0	27,6
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	173,5	154,0	154,1
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	160,3	145,0	145,0
სანებართვო მოსაკრებელი	120,9	100,0	100,0
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	1,6	0,0	0,0
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	37,8	45,0	45,0
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	13,2	9,0	9,1
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	13,2	9,0	9,1
ჯარიმები, სანქციები და საურავები	716,1	800,0	865,0
ტრანსფერები რომლებიც არა არის კლასიფიცირებული	32,5	9,8	20,0

მუხლი 7. სენაკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები
 ბიუჯეტის ხარჯები განისაზღვროს 12736,8 ათასი ლარით

დასახელება	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა			2022 წლის პროგნოზი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
II. ხარჯები	8590,2	10241,4	479,2	9762,1	12736,8	0,0	12736,8
შრომის ანაზღაურება	1796,8	1909,6	0,0	1909,6	3287,4	0,0	3287,4
საქონელი და მომსახურება	1002,9	1507,3	340,7	1166,6	1252,0	0,0	1252,0
პროცენტი	33,2	35,0	0,0	35,0	35,0	0,0	35,0



სუბსიდიები	4601,8	5434,8	0,0	5434,8	6972,2	0,0	6972,2
გრანტები	3,9	30,0	0,0	30,0	30,0	0,0	30,0
სოციალური უზრუნველყოფა	613,7	682,9	0,0	682,9	858,7	0,0	858,7
სხვა ხარჯები	537,8	641,8	138,5	503,2	301,5	0,0	301,5

მუხლი 8. ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვროს 2958,1 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის: არაფინანსური აქტივების ზრდა 3108,1 ათასი ლარით, ხოლო არაფინანსური აქტივების კლება 150,0 ათასი ლარით.

ათასი ლარი

ორგანიზაციული კოდი	დასახელება	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა	2022 წლის პროგნოზი
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულება	96,0	365,8	287,5
01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობა	96,0	365,8	287,5
01 01 01	სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულო	19,2	40,5	75,0
01 01 02	სენაკის მუნიციპალიტეტის მერია	76,9	273,0	205,0
01 01 03	სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახური	0,0	52,3	7,5
02 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	8965,2	9864,8	2806,9
02 01	გზების რეკონსტრუქცია და მოვლა- შენახვა	5902,0	5674,5	1065,8
02 02	გარე განათების ქსელის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	9,3	7,0	0,0
02 03	ბინათმშენებლობა	31,0	0,0	26,1
02 04	სოფლის მეურნეობის ღონისძიებები	0,0	0,0	0,0
02 05	სპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა	517,3	450,0	400,0
02 06	კეთილმოწყობის ღონისძიებები	1230,8	2408,4	600,0
02 07	სასაფლაოების მოვლა-პატრონობა	6,5	0,0	0,0
02 08	სტიქიის შედეგების ლიკვიდაცია	155,0	3,4	0,0
02 09	ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა	73,4	0,0	115,0
02 10	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	749,2	781,4	0,0
02 11	სამოქალაქო ბიუჯეტი	0,0	0,0	100,0
02 12	რეგიონის ფონდის თანადაფინანსება	300,0	560,6	500,0
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	1,1	0,0	0,0
03 01	ქალაქის დასუფთავების რეგულარული სამუშაოები, ნარჩენების გატანა	0,0	0,0	0,0



03 02	ქალაქის მწვანე საფარის შექმნა და არსებულის მოვლა-პატრონობა	1,1	0,0	0,0
04 00	განათლება	751,1	25,0	0,0
04 01	სკოლამდელი განათლების ხელშეწყობის პროგრამა	104,3	15,0	0,0
04 02	საჯარო სკოლების დაფინანსება	545,7	10,0	0,0
04 04	განათლების ღონისძიებების პროგრამა	0,0	0,0	0,0
04 05	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაციის პროგრამა	101,1	0,0	0,0
05 00	კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	294,4	551,6	13,7
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	164,8	488,4	0,0
05 01 01	სპორტის ხელშეწყობის ღონისძიებათა პროგრამა	18,7	0,0	0,0
05 01 02	ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა	5,7	14,0	0,0
05 01 03	სპორტულ ღონისძიებათა პროგრამა	0,0	0,0	0,0
05 01 04	სპორტული ობიექტების რეაბილიტაციის პროგრამა	140,4	474,4	0,0
05 02	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	129,6	63,2	13,7
05 02 01	მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა	15,2	13,2	13,7
05 02 02	ტრადიციული და თანამედროვე ხელოვნების ხელშეწყობის პროგრამაში	1,1	0,0	0,0
05 02 05	კულტურის ობიექტების რეაბილიტაციის პროგრამა	113,3	50,0	0,0
	სულ არაფინანსური აქტივების ზრდა	10107,9	10807,2	3108,1

ბ) განისაზღვროს სენაკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 150,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ათასი ლარი

დასახელება	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა	2022 წლის პროგნოზი
არაფინანსური აქტივების კლება	112,7	200,0	150,0
ძირითადი აქტივები	112,7	200,0	0,0
მატერიალური მარაგები	100,0	0,0	0,0
არაწარმოებული აქტივები	37,8	100,0	150,0
მიწა	74,9	100,0	150,0

მუხლი 9. ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია
განისაზღვროს ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში,



	დასახელება	2020 ფაქტი	2021 გეგმა			2022 პროგნოზი		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	2680,3	3405,9	0,0	3405,9	4850,1	0,0	4850,1
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	2574,2	3288,2	0,0	3288,2	4731,4	0,0	4731,4
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	2574,2	3238,2	0,0	3238,2	4681,4	0,0	4681,4
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	0,0	50,0	0,0	50,0	50,0	0,0	50,0
7013	საერთო დანიშნულების მომსახურება	21,6	30,0	0,0	30,0	30,0	0,0	30,0
70133	საერთო დანიშნულების სხვა მომსახურება	21,6	30,0	0,0	30,0	30,0	0,0	30,0
7016	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	84,6	87,7	0,0	87,7	88,7	0,0	88,7
702	თავდაცვა	64,9	131,0	0,0	131,0	120,1	0,0	120,1
704	ეკონომიკური საქმიანობა	7558,3	5731,9	4729,7	1002,1	1223,6	0,0	1223,6
7042	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა	0,8	7,4	0,0	7,4	7,8	0,0	7,8
70421	სოფლის მეურნეობა	0,8	7,4	0,0	7,4	7,8	0,0	7,8
7045	ტრანსპორტი	5902,0	5674,5	4729,7	944,7	1065,8	0,0	1065,8
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	5902,0	5674,5	4729,7	944,7	1065,8	0,0	1065,8
7047	ეკონომიკის სხვა დარგები	77,2	50,0	0,0	50,0	150,0	0,0	150,0
70473	ტურიზმი	77,2	50,0	0,0	50,0	150,0	0,0	150,0
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში	1578,2	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
705	გარემოს დაცვა	742,6	754,9	0,0	754,9	1120,1	0,0	1120,1
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	355,2	460,9	0,0	460,9	683,1	0,0	683,1
7056	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა გარემოს დაცვის სფეროში	387,4	294,0	0,0	294,0	437,0	0,0	437,0



706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	2525,9	5542,6	1545,7	3996,9	2907,9	0,0	2907,9
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	1417,0	4306,4	1407,2	2899,2	1729,0	0,0	1729,0
707	ჯანმრთელობის დაცვა	527,0	558,8	0,0	558,8	663,7	0,0	663,7
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	160,8	199,7	0,0	199,7	218,7	0,0	218,7
7076	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში	366,2	359,1	0,0	359,1	445,0	0,0	445,0
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	1753,4	2290,6	406,8	1883,8	2005,6	0,0	2005,6
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	744,4	1119,4	406,8	712,6	795,0	0,0	795,0
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	913,0	1029,9	0,0	1029,9	1091,5	0,0	1091,5
7083	ტელერადიომუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	34,0	35,0	0,0	35,0	38,8	0,0	38,8
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	50,0	80,0	0,0	80,0	50,0	0,0	50,0
7086	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში	11,9	26,3	0,0	26,3	30,3	0,0	30,3
709	განათლება	2436,8	2192,3	350,7	1841,6	2188,9	0,0	2188,9
7091	სკოლამდელი აღზრდა	1639,5	1741,8	0,0	1741,8	2074,0	0,0	2074,0
7092	ზოგადი განათლება	781,8	400,7	350,7	50,0	60,0	0,0	60,0
70923	საშუალო ზოგადი განათლება	781,8	400,7	350,7	50,0	60,0	0,0	60,0
7098	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	15,5	49,8	0,0	49,8	54,9	0,0	54,9
710	სოციალური დაცვა	555,1	632,2	0,0	632,2	876,2	0,0	876,2
7101	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	29,4	80,0	0,0	80,0	80,0	0,0	80,0
71012	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	29,4	80,0	0,0	80,0	80,0	0,0	80,0
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	71,4	136,0	0,0	136,0	226,0	0,0	226,0
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	454,2	416,2	0,0	416,2	510,2	0,0	510,2
	სულ	18749,4	21240,2	7033,0	14207,2	15896,2	0,0	15896,2

მუხლი 10. საოპერაციო და მთლიანი სალდო



დასახელება	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა	2022 წლის პროგნოზი
საოპერაციო სალდო	10214,3	8886,1	2009,4
მთლიანი სალდო	219,0	-1721,1	-948,7

მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება
 ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვროს - 1000,0 ათასი ლარი.

ათასი ლარი

დასახელება	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა	2022 წლის პროგნოზი
ფინანსური აქტივების ცვლილება	167,7	-1772,4	-1000,0
ზრდა	552,9	0,0	0,0
ვალუტა და დეპოზიტები	0,0	0,0	0,0
კლება	385,2	1772,4	1000,0
ვალუტა და დეპოზიტები	385,2	1772,4	1000,0

მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება განისაზღვროს 51,321 ათ.ლარის ოდენობით.

აღნიშნული წარმოადგენს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან 2017 წელს მიღებული სესხის ძირითადი თანხის დაფარვას.

დასახელება	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა	2022 წლის პროგნოზი
ვალდებულებების ცვლილება	-51,3	-51,3	-51,3
კლება	51,3	51,3	51,3
საშინაო	51,3	51,3	51,3

თავი II

სენაკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები, პროგრამები, ქვეპროგრამები

მუხლი 13. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია, გარე განათების ქსელის განვითარება და მუნიციპალიტეტში სხვა აუცილებელი კეთილმოწყობის ღონისძიებების დაფინანსება. პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება როგორც ახალი ინფრასტრუქტურის მშენებლობა, ასევე, არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-მენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები, რაც ხელს შეუწყობს ტურიზმის, მრეწველობისა და სხვა დარგების განვითარებას.



ორგანიზაციული კოდი	დასახელება	2022 წლის პროგნოზი	2023 წლის პროგნოზი	2024 წლის პროგნოზი	2025 წლის პროგნოზი
02 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	4131,5	4166,4	5091,1	6061,3
02 01	გზების რეკონსტრუქცია და მოვლა-შენახვა	1065,8	750,2	1000,0	1000,0
02 02	გარე განათების ქსელის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	1152,8	1152,8	1152,8	1152,8
02 03	ბინათმშენებლობა	26,1	27,4	28,8	30,2
02 04	სოფლის მეურნეობის ღონისძიებები	7,8	7,8	8,6	9,0
02 05	სპროქტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა	400,0	450,0	500,0	550,0
02 06	კეთილმოწყობის ღონისძიებები	600,0	593,5	1210,2	2122,2
02 07	სასაფლაოების მოვლა-პატრონობა	129,0	129,0	129,0	129,0
02 08	სტიქიის შედეგების ლიკვიდაცია	0,0	0,0	0,0	0,0
02 09	ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა	150,0	160,0	170,0	180,0
02 10	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	0,0	0,0	0,0	0,0
02 11	სამოქალაქო ბიუჯეტი	100,0	100,0	100,0	100,0
02 12	რეგიონის ფონდის თანადაფინანსება	500,0	800,0	800,0	800,0

პროგრამის დასახელება	კოდი	გზების რეკონსტრუქცია და მოვლა-შენახვა	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 01		1065,8
პროგრამის განმახორციელებელი	სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური		
პროგრამის აღწერა	გზების რეკონსტრუქცია მოვლა-შენახვის სამუშაოები სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ყოველწლიურად მიმდინარეობს. სამუშაოები მოიცავს ასფალტირებული ქუჩების დაზიანებული მონაკვეთების აღდგენა-რეაბილიტაციას და მიმდინარე შეკეთებას. მათ შორის: უმაფათის ადმინისტრაციულ ერთეულში თხილის საამქროსთან მისასვლელი გზის ცემენტო-ბეტონის საფარის მოწყობა; წერეთლის ქუჩის რეაბილიტაცია, რუსთაველის ქუჩიდან დადიანის ქუჩამდე; აგარაკის ქუჩის ბოლოში გზის საფარის მოწყობა ცემენტო-ბეტონის საფარით; ფურცელაძის ქუჩის მარჯვენა ჩიხის ცემენტო-ბეტონის საფარის მოწყობა; ნოქალაქევის ადმინისტრაციულ ერთეულში ტეხურის ხიდან მარჯვენა მხარეს არსებული გზის რეაბილიტაცია; თაყაიშვილის ქუჩის ზედა მონაკვეთის ცემენტო-ბეტონის საფარით მოწყობა; ლემაძემეს ადმინისტრაციულ ერთეულში სოფ. ლემაძემეში ხიდ-ბოგირის მოწყობა; მთის კალთის ქუჩის ცემენტო-ბეტონის საფარით მოწყობა; არსენას ქუჩის ზედა მონაკვეთში მინი სპორტული მოედნის მოწყობა; აკაკი ელიაშვილის ქუჩაზე საერთო საცხოვრებელი კორპუსის მიმდებარე საყრდენი კედლის მოწყობა; ნოქალაქევის ადმინისტრაციულ ერთეულში ლეგაგუეს უბანში ხიდ-ბოგირის მოწყობა.		
მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	ადამინების უსაფრთხოების უზრუნველყოფა და შეუფერხებელი გადაადგილება.		



პროგრამის დასახელება	კოდი	განათების ქსელის რეაბილიტაცია და ექსპლუატაციის პროგრამა	დაფინანსება ათას ლარში
	02 02		1152,8
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა) იპ „სენაკის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი მომსახურების ცენტრი“		
პროგრამის აღწერა	<p>მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდგრადი გარე განათების სისტემის შექმნა. ღამის პერიოდში მუნიციპალიტეტში უსაფრთხო გადაადგილებისთვის და კომფორტული გარემოს შექმნისთვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გამართული გარე განათების ქსელის ფუნქციონირებას. მუნიციპალურ ბიუჯეტში წარმოდგენილი გარე განათების პროგრამის ფარგლებში სწორედ გარე განათების სისტემის განვითარებისა და ექსპლუატაციისათვის საჭირო ხარჯები ფინანსდება. გარე განათების პროგრამა შინაარსის ტიპის მიხედვით არის როგორც კაპიტალური/ინფრასტრუქტურული ხასიათის, ასევე - მომსახურების. კაპიტალური ნაწილი მოიცავს გარე განათების ქსელის გაფართოება-გაუმჯობესების ღონისძიებებს, ხოლო მომსახურების ნაწილი - გარე განათების არსებული ქსელის ექსპლუატაციას (მ.შ. მოხმარებული ელექტროენერჯის ხარჯის ანაზღაურებას). ხანგრძლივობის მიხედვით, ექსპლუატაციის ნაწილში პროგრამა არის მუდმივმოქმედი, ხოლო ინფრასტრუქტურულ ნაწილში - მრავალწლიანი. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება: - გარე განათების წერტილების (ქუჩები, მოედნები, პარკები, სკვერები, შენობა-ნაგებობები) მოვლა-ექსპლუატაცია და მოხმარებული ელ. ენერჯის საფასურის დაფარვა; ქუჩების განათების სამუშაოები და ელ. ენერჯის ქსელში ჩართვა.</p>		
მოსალოდნელი მიზანი და შედეგი	<p>პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდგრადი გარე განათების სისტემის შექმნა, რომელიც მთელი წლის განმავლობაში, ნებისმიერ კლიმატურ პირობებში შეძლებს უზრუნველყოს გარე განათების სისტემის შეუფერხებელი ფუნქციონირება. შედეგად, მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ის ნაწილი, სადაც მოწყობილია გარე განათება ქსელი განათებული იქნება სრულად, ხოლო პერიოდულად წარმოქმნილი შეფერხებების აღმოფხვრა მოხდება ოპერატიულად. პროგრამის მიზანს ასევე წარმოადგენს მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის სრულად მოცვა გარე განათებით.</p>		

პროგრამის დასახელება	კოდი	ბინათმშენებლობა	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 03		26,1
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	სენაკის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური		
პროგრამის აღწერა	ქ.სენაკში საცხოვრებელი კორპუსების ფასადების რეაბილიტაციის სამუშაოები		
მოსალოდნელი მიზანი და შედეგი	ქალაქის იერსახის გაუმჯობესება		

პროგრამის დასახელება:	კოდი	სოფლის მეურნეობის ღონისძიება	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 04		7,8
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	სენაკის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახური		
პროგრამის აღწერა	<p>პროგრამა „დამწყები მეფუტკრე“, რომელიც ითვალისწინებს სოფლად მცხოვრები განსაკუთრებით მოწყვლადი კატეგორიების (ახალგაზრდები, ქალები, მრავალშვილიანი და სოციალურად დაუცველი ოჯახები) ჩართვას მეფუტკრეობის სფეროში, თეორიული და პრაქტიკული სწავლებით საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავებას და დარგის განვითარებისათვის საჭირო ინვენტარებით (ბუკი, ფუტკრის ოჯახი) უზრუნველყოფას.</p> <p>პროგრამა „აგროტური“ ფერმერების, მცირე მეწარმეებისა და ადმინისტრაციული ერთეულების სპეციალისტებისათვის სას.სამ პროდუქციის წარმოებაში დანერგილი თანამედროვე ტექნოლოგიებისა და სურსათის უვნებლობის საკითხებში მიღებული ახალი სტანდარტების გაცნობისა და პრაქტიკაში დანერგვის მიზნით.</p> <p>„აგროფესტივალი-სენაკი 2022“, რომლის მიზანია აგრარულ სექტორში ჩართული ფერმერების</p>		



	<p>კოოპერატივებისა და მცირე საწარმოების გაცნობა, მათ მიერ წარმოებული პოპულარიზება, ცნობადობის გაზრდა და ხელშეწყობა. აგროფესტივალის შემადგენელი ნაწილი იქნება „ყველის ფესტივალი“, რომლის მიზანია სოფლის მეურნეობის განვითარებისა და ფერმერთა/მეწარმეთა ხელშეწყობა. ასევე „თაფლის ფესტივალი“, რომლის მიზანია ქართული ფუტკრის პოპულარიზაცია, თაფლისა და ფუტკრის სხვა პროდუქტების გამოფენა დამწყები მეფუტკრეების წახალისებისა და მეფუტკრეობის დარგის პოპულარიზაციის მიზნით. გასტრონომიული ტურიზმის დანერგვა და პოპულარიზაცია სენაკის მუნიციპალიტეტში.</p> <p>მცირე მეწარმეებისა და ფერმერების ხელშეწყობა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს და სხვა ორგანიზაციების მიერ მოწყობილ ფესტივალებსა და საერთაშორისო გამოფენებში მონაწილეობით.</p>
მოსალოდნელი მიზანი და შედეგი	<p>პროგრამა „დამწყები მეფუტკრე“-მეფუტკრეობის დარგის პოპულარიზაცია, მეფუტკრეობით დაინტერესებული და ჩართული მოწყვლადი კატეგორიები. პროგრამაში ჩართული მოტივირებული, თეორიული და პრაქტიკული უნარ-ჩვევებით ცნობიერება ამაღლებული და ეკონომიკურად გაძლიერებული დამწყები მეფუტკრეები.</p> <p>„აგროტური“- საქართველოს მთავრობის მიერ სოფლის მეურნეობაში განხორციელებული პროგრამების, პრაქტიკაში დანერგილი თანამედროვე ტექნოლოგიებისა და რეგულაციების საკითხებზე ინფორმირებული ფერმერები და მცირე მეწარმეები. აგროტურიზმის განვითარების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია.</p> <p>პროგრამა „აგროფესტივალი-სენაკი 2022“ - სოფლის მეურნეობის სფეროში დასაქმებული ადგილობრივი ფერმერების წახალისება,მათი ცნობადობის გაზრდა. დამკვიდრებული „ქართული ყველის ფესტივალის“ გამრავალფეროვნება. „თაფლის ფესტივალის“ ტრადიციის დამკვიდრება სენაკის მუნიციპალიტეტში. ადგილობრივი წარმოების პროდუქციით გამოყენებით ქართული (მეგრული) სამზარეულოს გაცნობის გზით გასტრონომიული ტურიზმის დამკვიდრება და პოპულარიზაცია. ეკოლოგიურად სუფთა სასოფლო სამეურნეო პროდუქციის წარმოების პოპულარიზაცია.</p>

პროგრამის დასახელება	კოდი	საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპორტო მომსახურების შესყიდვა	2022 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
	02 05		400,0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	სენაკის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური		
პროგრამის აღწერა	<p>პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა. ამასთან, იმ ხელშეკრულებებზე რომელთა ღირებულება არ აღემატება 50.0 ათას ლარს პროექტის შემდგენი ახორციელებს შესრულებული სამუშაოების ექსპერტიზას. ამ პროგრამის ფარგლებში ასევე ფინანსდება 50.0 ლარზე მეტი თანხის ინფრასტრუქტურული პროექტების ტექნიკური ზედამხედველობის (საექსპერტო მომსახურების) სამუშაოების შესყიდვა.</p> <p>პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის დროულად და კვალიფიციურად მოხდეს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა. ასევე, პროექტების განხორციელებისას ჩატარებული სამუშაოების ხარისხის უზრუნველყოფა მათზე მუდმივი ზედამხედველობის განხორციელების გზით.</p> <p>პროგრამის თანხების განკარგვა ხორციელდება რეგიონალურ დონეზე ჩატარებული კონსოლიდირებული ტენდერების საშუალებით.</p>		
მოსალოდნელი მიზანი და შედეგი	ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია დროულად და კვალიფიციურად მომზადდება; შესრულებული ინფრასტრუქტურული პროექტების მაღალი ხარისხი, ისე რომ იგი აკმაყოფილებდეს პროექტით განსაზღვრულ და ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სამშენებლო ნარმებს (სტანდერტებს)		

პროგრამის დასახელება	კოდი	კეთილმოწყობის ღონისძიებები	2022 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
	02 06		600,0
პროგრამის განმახორციელებელი	სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური		



პროგრამის აღწერა	პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული სკვერებისა და პარკების კეთილმოწყობის სამუშაოები, შადრევნების მოვლა-შენახვა და ექსპლოატაცია, საგზაო ნიშნების გადასასვლელებისა და ფეხით მოსიარულეთათვის ტროტუარების მოწყობა, სადღესასწაულო დღეებისათვის ქალაქის გაფორმება, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სხვადასხვა შენობების რეაბილიტაცია და სხვა ღონისძიებები. მათ შორის: ჭავჭავაძის ქუჩაზე ვახანიას ქუჩიდან ნინოშვილის ქუჩამდე გზის მარცხენა მხარეს სანიაღვრე არხის მოწყობა; მენჯის ადმინისტრაციულ ერთეულის სოფელ სახარბედიოში თხილის საამქროს მიმდებარედ სანიაღვრე არხის მოწყობა; გოგოლაძის სახელობის მოედნის მიმდებარედ არსებული კორპუსების ფასადების რეაბილიტაცია.
მოსალოდნელი მიზანი და შედეგი	ქალაქის ინფრასტრუქტურის განვითარება

პროგრამის დასახელება:	კოდი	სასაფლაოების მოვლა-პატრონობის პროგრამა	2022 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
	პროგრამის განმახორციელებელი:	02 07	ა(ა) იპ „ სენაკის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი მომსახურების ცენტრი“
პროგრამის აღწერა	<p>მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სასაფლაოების ინფრასტრუქტურის მოწყობა, მოწესრიგება.</p> <p>პროგრამის ფარგლებში ხორციელდება სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული 14 სასაფლაოს მოვლა-პატრონობა.</p> <p>პროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ - სენაკის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი მომსახურების ცენტრის შესაბამისი განყოფილება უზრუნველყოფს:</p> <ul style="list-style-type: none"> - სასაფლაოების ღობის დაზიანებული მონაკვეთების შეკეთება და შეღებვას; - სასაფლაოების დაცვას მოთარეშე პირუტყვისაგან; - სასაფლაოების გაცელოვით და შეწამვლით სამუშაოების შესრულებას. 		
მოსალოდნელი მიზანი და შედეგი	შეკეთდება და შეიღობება სასაფლაოების ღობის დაზიანებული მონაკვეთები, შეკეთდება შესასვლელი ჭიშკრები; რამდენიმე ეტაპად შეიწამლება და გაიცელება სასაფლაოების ტერიტორიები.		

პროგრამის დასახელება:	კოდი	ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა	2022 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
	პროგრამის განმახორციელებელი:	02 09	სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახური
პროგრამის აღწერა	<p>პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სენაკის მუნიციპალიტეტში არსებული კულტურულ-ისტორიული ძეგლების/ობიექტების ინვენტარიზაცია:</p> <p>კულტურულ და ისტორიული ძეგლების/ობიექტების პასპორტიზაცია, მათზე ინფორმაციის შევსება, ძირითადი მონაცემების განახლება, ფოტოდოკუმენტაცია, რომელიც აიტვირთება საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ შექმნილ გის პორტალზე.</p> <p>ტურისტული მარშრუტების შექმნა:</p> <p>სენაკის მუნიციპალიტეტში ტურისტული ბილიკების ქსელის შექმნა, რომელიც დაიწყება ქ. სენაკიდან და მოიცავს ნოქალაქევის, შხეფის, ეკის თემებს. ვიზიტორები გაეცნობიან სენაკის კულტურულ და ბუნებრივ მემკვიდრეობას, ისტორიას. მოეწყობა საფეხმავლო ბილიკები სათავგადასავლო და რეკრეაციული ტურიზმისთვის შესაბამისი ინფრასტრუქტურით. განხორციელდება მარშრუტების მარკირება, მანიშნებლებისა და საინფორმაციო დაფების დამზადება-მონტაჟი. ასევე, შეიქმნება ტურისტული ბილიკების ელექტრონული ვერსიები, რომელიც დატანილი იქნება ტურისტებისთვის განკუთვნილ შესაბამის აპლიკაციებზე.</p> <p>ვებგვერდის მარკეტინგული მომსახურება:</p> <p>UNDP-ის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში შექმნილია ახალი ვებ-გვერდი tourism.senaki.gov.ge,</p>		



ფეისბუქ გვერდი visit senaki, რომელიც მუნიციპალიტეტში არსებული ტურისტულად მნიშვნელოვანი ძეგლების და ამ სფეროში დაინტერესებული ადამიანების გაცნობა-პოპულარიზაციას შეუწყობს ხელს. ამ გვერდის ეფექტური ფუნქციონირებისთვის საჭიროა ვებ-გვერდის მარკეტინგული მომსახურების გაწევა და ასევე, სოციალური ქსელის სათანადოდ ადმინისტრირება და რეკლამაზე გაშვება („დაბუსტვა“).

ტრენინგები:

ტურიზმის სფეროში ადგილობრივი ბიზნეს სექტორის წარმომადგენლების, ამ სფეროში დაინტერესებული ადამიანების საჭიროებებიდან გამომდინარე პროფესიული ცოდნის გაზრდა ტრენინგ-კურსებით.

დანიშნულების მართვის ორგანიზაცია:

დმო-ს დანიშნულებაა სამეგრელო ზემო-სვანეთის რეგიონის ტურიზმის პოპულარიზაცია.

<p>მოსალოდნელი მიზანი და შედეგი</p>	<p>მუნიციპალიტეტში არსებული ისტორიულ-კულტურული ძეგლების/ობიექტების დოკუმენტირება კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოსთან თანამშრომლობით, პოპულარიზაციას გაუწევს ჩვენს კულტურულ და ისტორიულ მემკვიდრეობას. ტურისტული მარშრუტების მოწყობა შესაბამისი ინფრასტრუქტურით, ამ ტურისტული ბილიკების ელ. ვერსიები ხელს შეუწყობს ტურისტების კომფორტულ გადაადგილებას. გამართული ინფრასტრუქტურის, გაზრდილი საინფორმაციო კამპანიის პირობებში გაიზრდება ტურისტების რაოდენობა, რაც გამოიწვევს ადგილობრივი ბიზნესების განვითარებას. ჩვენ მიერ დაგეგმილი ტრენინგები ხელს შეუწყობს ტურიზმის სფეროში ჩართულ ადამიანებს განავითარონ უნარები და გააუმჯობესონ სერვისები/საქმიანობები. ასევე, მუნიციპალიტეტში ტურიზმის სფეროში არსებულ ნებისმიერ ტიპის ინფორმაციის, ამ სფეროში ჩართული ადამიანების გაცნობა-პოპულარიზაცია მოხდება ახალი ვებ-გვერდის მეშვეობით, რომლის სწორად დაგეგმილი მარკეტინგული მომსახურება ეფექტური და სასარგებლო იქნება მუნიციპალიტეტში ტურიზმის სფეროს განვითარებისთვის.</p>
-------------------------------------	---

პროგრამის დასახელება	კოდი	სამოქალაქო ბიუჯეტი	2022 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
პროგრამის განმახორციელებელი	02 11		100,0
პროგრამის აღწერა	<p>სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური</p> <p>პროგრამის აღწერა:</p> <p>სენაკის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტში სამოქალაქო ბიუჯეტების პროგრამისათვის გათვალისწინებული თანხიდან საპროექტო წინადადებების განსახორციელებლად დაფინანსებული იქნა მხოლოდ ორი პროექტი. სენაკის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოვიდა 52 განცხადება, რომელთაგანაც დადგენილი კრიტერიუმების დაკმაყოფილების შედეგად კენჭისყრის ეტაპზე გადავიდა 16 განცხადება. სამუშაო ჯგუფმა მოახდინა საპროექტო წინადადებების გადარჩევა და 16 საპროექტო წინადადებიდან ხმათა უმრავლესობით შეირჩა ორი წინადადება:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. ამფითეატრის მოწყობა ახალისოფლის ადმინისტრაციულ ერთეულში - 79 ხმა. 2. ტროტუარების მოწყობა ქ. სენაკი აღმაშენებლის ქუჩა - 254 ხმა. <p>პროგრამით ყოველწლიურად განხორციელდება ადგილობრივი მნიშვნელობის პროექტი.</p>		
მოსალოდნელი მიზანი და შედეგი	<p>საბოლოო მიზანია გაიზარდოს მოქალაქეთა ჩართულობა საჯარო ფინანსების მართვის საქმეში და გაიზარდოს მუნიციპალიტეტის მერიის საქმიანობის ეფექტურობა განსახორციელებელი პროექტების ადგილობრივი მოსახლეობის პრიორიტეტების შესაბამისად შერჩევის გზით.</p>		

პროგრამის დასახელება	კოდი	რეგიონის ფონდის თანადაფინანსება	2022 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
პროგრამის განმახორციელებელი	02 12		500,0
პროგრამის განმახორციელებელი	სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური		



მოსალოდნელი მიზანი და შედეგი	პროგრამის ფარგლებში განხორციელდება რეგიონის განვითარების ფონდიდან გამოყოფილი ინფრასტრუქტურული პროექტების თანადაფინანსება.
პროგრამის აღწერა	ქალაქის ინფრასტრუქტურის განვითარება

მუხლი 14. დასუფთავება და გარემოს დაცვა

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარემოს დასუფთავება და ნარჩენების გატანა, მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, უმეტესადაა დაარჩენილი ცხოველების იზოლაცია. შესაბამისად პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქალაქის სანიტარული წესრიგის შენარჩუნება და გაუმჯობესება; ნარჩენების სრული იზოლირება მოსახლეობისა და გარემოსაგან; მუნიციპალიტეტის ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა; ქალაქის ტერიტორიის კეთილმოწყობითი და გამწვანებითი სამუშაოები. ერთწლიანი და მრავალწლიანი ნარგავების დარგვა, სკვერებში ბალახის გათიბვა ქალაქისა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მაწანწალა ძაღლების თავშესაფარში გადაყვანა.

ათას ლარში

ორგანიზაციული კოდი	დასახელება	2022 წლის პროგნოზი	2023 წლის პროგნოზი	2024 წლის პროგნოზი	2025 წლის პროგნოზი
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	1120,1	1047,6	1047,6	1047,6
03 01	ქალაქის დასუფთავების რეგულარული სამუშაოები, ნარჩენების გატანა	683,1	622,1	622,1	622,1
03 02	ქალაქის მწვანე საფარის შექმნა და არსებულის მოვლა-პატრონობა	427,0	415,5	415,5	415,5
03 03	უმეტესადაა დაარჩენი ცხოველების იზოლაცია	10,0	10,0	10,0	10,0

პროგრამის დასახელება	კოდი	ქალაქის დასუფთავების რეგულარული სამუშაოები, ნარჩენების გატანის პროგრამა	2022 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
	03 01		683,1
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა) იპ „სენაკის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი მომსახურების ცენტრი“		
პროგრამის მიზანი და აღწერა	<p>პროგრამის მიზანი: დასუფთავების მუნიციპალური სერვისის გამართული ფუნქციონირება; მდგრადი კომუნალური სისტემის შექმნა; მოწესრიგებული და დასუფთავებული მუნიციპალიტეტის ტერიტორია.</p> <p>პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქში არსებული პარკებისა და სკვერების დაგვა-დასუფთავება; სანაგვე კონტეინერების დაქლორვა, ქალაქის ტერიტორიის თოვლის საფარისაგან გაწმენდა, მოყინვის საწინააღმდეგო სამუშაოების განხორციელება; საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა; დღეს არსებული სიტუაციით სულ ქალაქში სუფთავდება 66000 კვმ ფართობი, რაც მთლიანი დასასუფთავებელი ტერიტორიის 35 პროცენტია. წელიწადში ხდება 6000 ტონა ნარჩენების გატანა. დასუფთავების სერვისით მთელი მუნიციპალიტეტის მოცვისთვის საჭიროა დამატებითი ურნების (დაახლოებით 200 ურნა), გაგემილია დასასუფთავებელი ტერიტორიების გაფართოება 50%-მდე, ამისათვის საჭიროა მეზოვეების მუშა მეზოვეების დამატება.</p>		
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	ეკოლოგიურად ჯანსაღი გარემო, დასუფთავების მუნიციპალური სერვისის ხარისხიანი ფუნქციონირება;		



პროგრამის დასახელება	კოდი	ქალაქის მწვანე საფარის შექმნა და არსებულის მოვლა-პატრონობის პროგრამა	2022 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
	03 02		427,0
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა) იპ „ სენაკის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი მომსახურების ცენტრი“		
პროგრამის მიზანი და აღწერა	<p>პროგრამის მიზანია მდგრადი კომუნალური სისტემის შექმნა; .მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული პარკებისა და სკვერების მოვლა-პატრონობა. პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული პარკებისა და სკვერების მოვლა-პატრონობა. კერძოდ, სკვერებსა და გამწვანებულ ტერიტორიებზე ტარდება მწვანე ნარგავების მოვლისა და აღდგენის ღონისძიებები, ნიადაგის მომზადება, დასუფთავება, ერთწლიანი და მრავალწლიანი ნარგავების დარგვა, მორწყვა, შეწამვლა და საჭიროების შემთხვევაში შხამქიმიკატების შეტანა, რათა შენარჩუნებული იქნეს და გაუმჯობესდეს მუნიციპალიტეტის მწვანე საფარი.</p> <p>პროგრამა მოიცავს სანიაღვრე სისტემების მოვლა პატრონობას, დღეს არსებული მდგომარეობით უხვი ნალექის პირობებში ჭავჭავაძის, ხორავას და ნაწილობრივ აღმაშენებლი, კოსტავას ქუჩები იტბორება და არ ხდება ნალექის გატარება, ასევე გაუმართავია არსებული სისტემები რადგან არ ხდებოდა დროული გაწმენდა. მუნიციპალიტეტი გეგმავს ახალი რამოდენიმე სანიაღვრე სისტემის მოწყობას და არსებული სისტემის გაწმენდას.</p>		
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	ეკოლოგიურად ჯანსაღი გარემო, მოწესრიგებული პარკები, რეაბილიტირებული სანიაღვრე სისტემის ინფრასტრუქტურა.		

პროგრამის დასახელება	კოდი	უმთავალყურედ დარჩენი ცხოველების იზოლაცია	2022 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
	03 02		10,0
პროგრამის განმახორციელებელი	სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახური		
პროგრამის მიზანი და აღწერა	პროგრამის ფარგლებში, მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვის მიზნით, ხორციელდება სენაკის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულებში არსებული მაწანწალა ძაღლების თავშესაფარში გადაყვანა.		
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან გაყვანილი იქნება მაწანწალა ძაღლები		

მუხლი 15. განათლება

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია, ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, ინვენტარით უზრუნველყოფა. ხორციელდება საჯარო სკოლებიდან მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე ქალაქიდან თემში და თემიდან ქალაქში საზოგადოებრივი ტრანსპორტით მოსარგებლე მასწავლებელთა სუბსიდირება. სენაკის მუნიციპალიტეტში საგანმანათლებლო და საადმინისტრაციო პროცესის მონაწილეთა მოტივაციის ამაღლება. საადმინისტრაციო და საგანმანათლებლო დაწესებულებებთან კოორდინირებულ თანამშრომლობა, აღსაზრდელთა და მოზარდთა შემეცნებით-საგანმანათლებლო ღონის ამაღლება.

ათ. ლარი



ორგანიზაციული კოდი	დასახელება	2022 წლის პროგნოზი	2023 წლის პროგნოზი	2024 წლის პროგნოზი	2025 წლის პროგნოზი
04 00	განათლება	2188,9	2191,6	2160,2	2165,2
04 01	სკოლამდელი განათლების ხელშეწყობის პროგრამა	2074,0	2074,0	2039,7	2041,7
04 02	საჯარო სკოლების დაფინანსება	60,0	60,0	60,0	60,0
04 04	განათლების ღონისძიებების პროგრამა	54,9	57,6	60,5	63,5

პროგრამის დასახელება	კოდი	სკოლამდელი განათლების ხელშეწყობის პროგრამა	2022 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
	04 01		2074,0
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანება		
პროგრამის მიზანი და აღწერა	<p>მუნიციპალიტეტში სულ 1280 სკოლამდელი ასაკის ბავშვია რეგისტრირებული, მათ შორის 645 გოგო, 635 ბიჭი, ტერიტორიაზე განთავსებულ 27 საბავშვო ბაღში დღეის მდგომარეობით შესაძლებელია 1400 ბავშვის სწავლება, ბაგა-ბაღების ფუნქციონირებას უზრუნველყოფს ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანება“. სულ სკოლამდელი დაწესებულებებში დასაქმებულია 302 თანამშრომელი, მათ შორის 100 აღმზრდელი და 50 თანამშემწე, ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად იგეგმება: სკოლამდელი აღზრდის სფეროში მართვის პოლიტიკის განხორციელება, სტანდარტების შესაბამისი სააღმზრდლო პროგრამა/მეთოდოლოგიის დახვეწა, საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისი კვებით უზრუნველყოფა. აღსაზრდელთა უსაფრთხოების მიზნით ბაგა-ბაღების ინფრასტრუქტურის (ეზო, შენობა, ინვენტარი და სხვა) განვითარება. ბაგა-ბაღების პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება და მათი კვალიფიკაციის ამაღლება. პერსონალის ხელფასის ეტაპობრივი ზრდა.</p>		
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	სკოლამდელი ასაკის ბავშვების მომზადება სასკოლოდ.		

პროგრამის დასახელება	კოდი	საჯარო სკოლების დაფინანსება	2022 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
	04 02		60,0
პროგრამის განმახორციელებელი	სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური		
პროგრამის მიზანი და აღწერა	პროგრამის ფარგლებში ხორციელდება საჯარო სკოლებიდან მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე ქალაქიდან თემში და თემიდან ქალაქში საზოგადოებრივი ტრანსპორტით მოსარგებლე მასწავლებელთა სუბსიდირება.		
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	მასწავლებელთა კმაყოფილების დონის ამაღლება		

პროგრამის დასახელება	კოდი	განათლების ღონისძიებების პროგრამა	2022 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
	04 04		54,9
პროგრამის განმახორციელებელი	სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური		



პროგრამის მიზანი და აღწერა	<p>პროგრამა მოიცავს:</p> <p>ინტელექტუალური და შემეცნებითი პროექტების თანადაფინანსებას; სხვადასხვა შემეცნებით და საგანმანათლებლო ღონისძიებებში მონაწილეობის მიზნით ტრანსპორტირებით უზრუნველყოფას; საგანმანათლებლო ექსკურსიებში მონაწილეობას; სხვადასხვა გასართობი ღონისძიებების ბილეთების შეძენას; სახელოვნებო სფეროში მაღალი რანგის პროფესიონალი ხელოვანების მოწვევას და მასტერ კლასების ჩატარებას; კლასიკური და ხალხური მუსიკალური ფესტივალების გამართვას; სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო, შემეცნებით, პროფესიულ, სადღესასწაულო დღეებზე, მოსწავლე-ახალგაზრდებისა და საგანმანათლებლო სფეროში ფულადი ჯილდოთი, სხვადასხვა პრიზითა თუ ფასიანი საჩუქრით წახალისებას; საცნობარო ბუკლეტებისა და სიგელების დამზადებას;</p>
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	<p>პროგრამის განხორციელების შედეგად დაფინანსდება სხვადასხვა საგანმანათლებლო პროექტი, შესაძლებელი იქნება წარმატებული მოსწავლეების წახალისება. მოზარდთა ჰარმონიული განვითარების ხელშეწყობა. მათი პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდა და ეროვნული ცნობიერების ამაღლება; საგანმანათლებლო ღონისძიებებზე ტრანსპორტირებით უზრუნველყოფა. კლასიკური და საგუნდო მუსიკის პოპულარიზაცია და ხელოვნების ამ დარგით მოზარდი თაობის დაინტერესება</p>

მუხლი 16. კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები

კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებების მიმართულებით აუცილებელია ხელი შევუწყოთ კულტურული ტრადიციების დაცვას და მის ღირსეულ გაგრძელებას. ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციების და კლუბების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება.

ათას ლარში

ორგანიზაციული კოდი	დასახელება	2022 წლის პროგნოზი	2023 წლის პროგნოზი	2024 წლის პროგნოზი	2025 წლის პროგნოზი
05 00	კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	2005,6	2206,0	2285,9	2423,5
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	795,0	867,0	872,7	930,9
05 01 01	სპორტის ხელშეწყობის ღონისძიებათა პროგრამა	490,0	473,5	477,7	513,9
05 01 02	ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა	288,0	275,0	275,0	295,0
05 01 03	სპორტულ ღონისძიებათა პროგრამა	17,0	18,5	20,0	22,0
05 01 04	სპორტული ობიექტების რეაბილიტაციის პროგრამა	0,0	100,0	100,0	100,0
05 02	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	1091,5	1217,4	1288,3	1364,4
05 02 01	მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა	667,0	616,6	669,2	726,8
05 02 02	ტრადიციული და თანამედროვე ხელოვნების ხელშეწყობის პროგრამაში	330,0	280,0	290,0	300,0
05 02 04	კულტურული ღონისძიებების პროგრამა	94,5	99,2	104,2	109,4
05 02 05	კულტურის ობიექტების რეაბილიტაციის პროგრამა	0,0	100,0	100,0	100,0
05 03	ახალგაზრდული ღონისძიებების პროგრამა	30,3	32,6	34,9	36,2



05 05	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	50,0	50,0	50,0	50,0
05 06	საინფორმაციო უზრუნველყოფის პროგრამა	38,8	39,0	40,0	42,0

სპორტის განვითარების ხელშეწყობა

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციების და კლუბების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების დაჯილდოვება.

პროგრამის დასახელება	კოდი	სპორტის ხელშეწყობის ღონისძიებათა პროგრამა	2022 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
	05 01 01		490,0
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანება		
პროგრამის მიზანი და აღწერა	<p>სპორტის საყოველთაობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; სპორტული ტრადიციების დაცვა, გაღრმავება, სპორტის განვითარება: სპორტისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია; მატერიალური და ტექნიკური ბაზის განმტკიცება, სპორტის ინდუსტრიის განვითარება. ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანება ახორციელებს სწავლებებს შემდეგი მიმართულებით: ბერძნულ რომაული ჭიდაობა, კრივი, რაგბი, ჭადრაკი, კარატე-დო, კალათბურთი, ძიუდო. ტაეკვანდო, ხელბურთი, ფრენბურთი, მკლავჭიდი და სხვა.</p> <p>სასპორტო გაერთიანებაში ფუნქციონირებს სულ სპორტის 12 სახეობის 26 ჯგუფი 24 მწვრთნელის მეშვეობით, სადაც ირიცხება 372 მოზარდი, ასევე გაერთიანებაში აღრიცხულია 18 წელს ზემოთ მოქმედი 17 სპორტსმენი. სასპორტო გაერთიანება გეგმავს და ახორციელებს სპორტულ ღონისძიებებს როგორც სამოყვარულო ასევე პროფესიული სპორტის მიმართულებით ყველა ასაკობრივ ჯგუფში. სასპორტო გაერთიანება წარმატებულ სპორტსმენებს წახალისების მიზნით აჯილდოვებს (დაკავებული ადგილების) შესაბამისად ფულადი ჯილდოთი.</p>		
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	მოსახლეობის დაინტერესება და ჩართულობის გაზრდა		

პროგრამის დასახელება	კოდი	ფეხბურთის ხელშეწყობის პროგრამა	2022 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
	05 01 02		288,0
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი		
პროგრამის მიზანი და აღწერა	<p>პროგრამის მიზანია ბავშვთა და მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობის ჩაბმა ფეხბურთში. სელექციის მეშვეობით შერჩეული პერსპექტიული სპორტსმენების მომზადება ნაკრები გუნდებისათვის, თანამედროვე საწვრთნელი პროცესის დანერგვა (2022-2025) წწ. შეჯიბრებებსა და ტურნირებში მონაწილეობის მიღება. ბავშვთა რაოდენობის გაზრდა, მწვრთნელთა მომზადება, ტრენინგის გავლა და ლიცენზიის კატეგორიების მოპოვებისათვის. შემუშავება პროგრამისა რომელიც ხელს შეუწყობს ფეხბურთის განვითარებას. ასაკობრივი ჯგუფები, მოსამზადებელი ჯგუფები, გუნდი „ეგრისი“-ს დაკომპლექტება, განვითარება, ხელშეწყობა ინფრასტრუქტურის მომზადება.</p>		
მოსალოდნელი საბოლოო	ჯანმრთელი ცხოვრების წესი ქართული ფეხბურთის განვითარება და გამორჩეული ბავშვების მიწოდება საქართველოს ეროვნული ნაკრებისა და სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფებისათვის, საფეხბურთო კლუბი „ეგრისი“-ს დაკომპლექტება ადგილობრივი აღსაზრდელებით.		



შედეგი	საფეხბურთო კლუბის ფეხბურთელთა გუნდი ეგრისისა და ასაკობრივი ჯგუფების მიერ სხვადასხვა ტურნირებში მონაწილეობის შედეგად დაკავებული ადგილები. საანგარიშო პერიოდში ბავშვთა დაინტერესება და ჩართვა სპორტულ ცხოვრებაში ფეხბურთის განვითარებისათვის.
--------	---

პროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული ღონისძიებების პროგრამა	2022 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
	05 01 03		17,0
პროგრამის განმახორციელებელი	სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური		
პროგრამის მიზანი და აღწერა	<p>პროგრამის ფარგლებში განხორციელდება:</p> <p>სხვადასხვა სახის სპორტული ღონისძიებების და აქტივობების ორგანიზება, მასში მონაწილე მოყვარული სპორტსმენებისა და ახალგაზრდების დაჯილდოება, წახალისება ფულადი ჯილდოებითა და ფასიანი საჩუქრებით;</p> <p>საანგარიშო წლის მანძილზე წარმატებული ახალგაზრდა და ვეტერანი სპორტსმენების წახალისება ერთჯერადი ფულადი ჯილდოებით; წლის წარმატებული სპორტსმენებისა და მწვრთნელების დაჯილდოება,</p> <p>სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებებზე სპორტსმენებისა და მწვრთნელების ტრანსპორტირებაში დახმარება;</p> <p>პროექტები: სასკოლო სპორტული ოლიმპიადა, სპორტი ბარიერების გარეშე, მოყვარულთა ფეხბურთის ლიგისა, მასტერ ლიგისა და ევროპის სპორტული კვირეულის სენაკის მუნიციპალური თამაშების ჩატარება-ორგანიზება და გამარჯვებულებისათვის რეგიონალურ და ზონალურ ეტაპებზე ტრანსპორტირებაში და ფორმებით უზრუნველყოფაში ხელშეწყობა.</p> <p>პროგრამის მიზანია:</p> <p>ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია; მოზარდების ჩართვა მასობრივი სპორტის სახეობებში; წარმატებული ახალგაზრდა და ვეტერანი სპორტსმენების დაჯილდოება</p>		
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	<p>პროგრამის განხორციელების შედეგად დაფინანსდება სხვადასხვა სპორტული პროექტი, შესაძლებელი იქნება წარმატებული მოყვარული, ვეტერანი, თუ მოქმედი სპორტსმენის წახალისება. და ეროვნული ცნობიერების ამაღლება;</p> <p>მონაწილეთა ჩართულობის მზარდი მაჩვენებელი, ჯანსაღი ცხოვრების წესის კიდევ უფრო პოპულარიზაცია</p>		

კულტურის განვითარების ხელშეწყობა

კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, ჩატარდება სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები.

პროგრამის დასახელება	კოდი	მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის განვითარების ხელშეწყობა	2022 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
	05 02 01		667,0
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრი		
	<p>პროგრამის მიზანია სენაკისა და მისი თემების მაცხოვრებელი მოსწავლე ახალგაზრდობის ესთეტიკურ-შემეცნებითი აღზრდა, განვითარება და მთლიანად მოსახლეობის კულტურული დონის ამაღლება, მათი შემოქმედებითი ცხოვრების გამრავალფეროვნება. მოსწავლე-ახალგაზრდობისა და ზოგადად მოსახლეობის ესთეტიკურ-კულტურული დონის განვითარების მიზნით აღნიშნულ ცენტრში ფუნქციონირებენ ხალხური და საესტრადო ცეკვებისა და სიმღერის ანსანბლები, ახალგაზრდული თეატრი „ფიროსმანი“, წრეები-საესტრადო საკრავების „კომპიუტერული სწავლების, მხატვრული კითხვის. აგრეთვე ეკოლოგიისა და ეკოტურიზმის სექცია „მწვანე ერთობა“.</p> <p>ცენტრში ფუნქციონირებს 1 საჯარო და სენაკის სხვადასხვა სოფლებში განლაგებული 14 ბიბლიოთეკა. სულ დღეის მდგომარეობით წიგნადი ფონდის ღირებულებაა 353317,98 ლარი. ლარი. ქვეყნად არსებული პანდემიური</p>		



მდგომარეობის გამო 2021 წელს ბიბლიოთეკებში ვიზიტორთა რაოდენობამ მნიშვნელოვნად იკლო. სულ აღნიშნულ წელს ბიბლიოთეკებს ეწვია 2210 ვიზიტორი. ბიბლიოთეკების უმარავლესობა საჭიროებს განახლებას, ახალ ტექნიკურ აღჭურვილობას. მიზანშეწონილია ბიბლიოთეკებში დაინერგოს ელექტრონული სისტემა. საჭიროა მოსახლეობაში ჩავატაროთ პროპაგანდა ელექტრონული სერვისების მომსახურების სიკეთეზე და ამით მივაღწიოთ მიზანს „მკითხველის დაინტერესება და ცნობიერების ამაღლება“. ცენტრის შემავალ ორგანიზაციებიდან ფუნქციონირებს 2 ქალაქის და 2 სოფლის მუზეუმი. მუზეუმების ფონდების მოცულობა შეადგენს სულ 7398 ექსპონატს, 2021 წელს მუზეუმებში ვიზიტორთა რაოდენობა შეადგენდა 338 ვიზიტორს. არ ჩატარებულა არც გამოფენები, არც ექსკურსიები ტურისტებისგან. (ისევე ქვეყანაში პანდემიური მდგომარეობიდან გამომდინარე და მასთან დაკავშირებული შეზღუდვების გამო.) მუზეუმებიც საჭიროებენ კეთილ მოწყობას თანამედროვე სტანდარტებით. მიზანშეწონილია გადამზადდნენ მუზეუმის თანამშრომლები.

2022-2023 სასწავლო წლისათვის განსახორციელებელი მომსახურების ნუსხა:

- მხატვრული კითხვის სექცია (უფასო);
- ეკოლოგიისა და ეკოტურიზმის სექცია „მწვანე ერთობა“ (უფასო);
- საესტრადო საკრავების ინსტრუმენტთა სწავლების სექციაზე(ფასიანი);
- სამეჯლისო ცეკვების სწავლების სექციაზე;
- ქართული ხალხური ცეკვის სწავლების სექცია(ფასიანი);
- საესტრადო სიმღერების სწავლების სექცია(ფასიანი);
- კომპიუტერული სწავლების სექცია(ფასიანი);
- ახალგაზრდული თეატრი „ფიროსმანი“ (უფასო);
- ქორეოგრაფიული ანსამბლი „კოლხი“ (უფასო);

თითოეულ ფასიან სექციაზე სწავლის ღირებულება უნდა შეადგენდეს 15 ლრს, გამონაკლისია კომპიუტერული სწავლების სწავლების მიმართულება, სადაც სამთვიანი კურსის შესწავლის საფასური იქნება 60 ლარი.

ფასიანი წრეების ყოველთვიური გადასახადის გადახდისაგან განთავისუფლებიან იმ ოჯახის მოზარდები და ახალგაზრდები, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან საქართველოს სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში და რომელთა სარეიტინგო ქულა შეადგენს არაუმეტეს 70 000 (სამოცდაათი ათასს) ტერიტორიული მთლიანობისათვის წარმოებულ ომებში და სამშვიდობო ოპერაციების განხორციელებისას დაღუპული, უგზოუკვლოდ დაკარგული მეზრძოლთა შვილები და ასევე ცენტრის თანამშრომელთა ოჯახის წევრები (შვილები, შვილიშვილები).

დეენილებზე და შესზრუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე (შშმპ) გავრცელდება 50%-იანი შეღავათი.

ერთ ოჯახიდან ორი ბენეფიციარის ერთ პედაგოგთან სიარულის შემთხვევაში მე-2 ბენეფიციარის ყოველთვიური გადასახადის ოდენობა განახევრდება (საფასური 50%), ხოლო მე-3 და მომდევნო ბენეფიციარი განთავისუფლებული იქნება ყოველთვიური გადასახადისაგან

პროგრამის მიზანი და აღწერა

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი

სრულიად სენაკისა და მისი თემების მაცხოვრებლების(მოსწავლე-ახალგაზრდობის ჩათვლით) ესტეტიკურ-კულტურული დონის ამაღლება,მათი ცხოვრების გამრავალფეროვნება,კულტურული ტრადიციების დაცვა და სხვა.

პროგრამის დასახელება	კოდი	ტრადიციული და თანამედროვე ხელოვნების ხელშეწყობის პროგრამაში	2022 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
	05 02 02		330,0
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ,,სენაკის მუნიციპალიტეტის ხელოვნების ცენტრი“		
პროგრამის მიზანი და აღწერა	<p>პროგრამის მიზანია „ტრადიციული და თანამედროვე ხელოვნების პოპულარიზაცია“, მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფებისთვის სკოლისგარეშე სახელოვნებო განათლების მიღების ხელმისაწვდომობა, შესაბამისი ინფრასტრუქტურის გამართულ ფუნქციონირება, დასაქმებულთა საქმიანობის გარემოს გაუმჯობესება, ნიჭიერთა გამოვლენა და განვითარება, სასწავლო პროცესის საგანმანათლებლო რესურსებით უზრუნველყოფა, სახელოვნებო, საგანმანათლებლო და შემოქმედებითი ღონისძიებების განხორციელება.</p> <p>პროგრამა უზრუნველყოფს ა(ა)იპ „სენაკის მუნიციპალიტეტის ხელოვნების ცენტრი“-ს დაფინანსებას, რომლის სისტემაში ფუნქციონირებს სამუსიკო და სამხატვრო სკოლები, სცენური ხელოვნების -ბავშვთა საბალებო ჯგუფი, ხელოვნების საზაფხულო და საკვირაო სკოლები. სენაკის მუნიციპალიტეტის მიერ ხორციელდება ცენტრის სუბსიდიური დაფინანსება და დანერგილია მშობელთა მხრიდან მოსწავლეთა თანადაფინანსების სისტემა.ამ პროგრამის გზით განხორციელდება ტრადიციული და თანამედროვე ხელოვნების დარგების პოპულარიზაცია.</p> <p>ცენტრი კოორდინაციას უწევს სახელოვნებო-საგანმანათლებლო და შემოქმედებითი საქმიანობას, საზოგადოებასთან ურთიერთობას და ახალი ბენეფიციარების გამოვლენას და მათი მოთხოვნიდაკმაყოფილებას, აქტიურად თანამშრომლობს მუნიციპალიტეტის საჯარო და კერძო სკოლებთან და მომიჯნავე სფეროებთან, მონაწილეობს ადგილობრივ, რეგიონულ და რესპუბლიკურ ღონისძიებებში, დასაქმებულია 43 ადამიანი, მ/შორის 36 პედაგოგი. ცენტრი ემსახურება 300-ზე მეტ მომხმარებელს.</p>		



	<p>ცენტრში შემავალი სამუსიკო და სამხატვრო სკოლებში მიმდინარეობს მოსწავლეთა სულიერი კულტურის გამრავაფეროვნება, ესთეტიკის ფორმირება, შემოქმედებითი უნარების გაძლიერება. მუსიკის, მხატვრობისა, ქორეოგრაფიის და ხელოვნების სხვა დარგებისადმი სიყვარულისა და ინტერესის გაღვივება, საგნობრივი სწავლებით უნარის განვითარება. იმართება მისაღები, გამოსაშვები და გადასაცვანი გამოცდები. სამუსიკო სკოლაში ფუნქციონირებს საფორტეპიანო, საორკესტრო (ვიოლინო) განყოფილება, საგუნდო სიმღერის სპეციალობა, საესტრადო განყოფილება, გიტარისა და ხალხური საკრავთა ჯგუფები. ბავშვთა რაოდენობა სამუსიკო სკოლაში შეადგენს 220 მოსწავლეს.</p> <p>სამხატვრო სკოლაში ბავშვთა რაოდენობა შეადგენს 80 ბავშვს, სკოლაში ეწყობა შიდა და საკლასო გამოფენები, გაკვეთილ-პლენერები, ისწავლება: ხატვა, ფერწერა, ხელოვნების ისტორია, გრაფიკა, ძეგლწერა, კომპოზიცია. სასწავლო პროცესში ვლინდებიან საუკეთესო ნიჭის მქონე მოსწავლეები. ასევე შესაძლებელია მოსამზადებელი ჯგუფების ფუნქციონირება საბალეტო ჯგუფში, საბალეტო კლასიკურს და სახასიათო საცეკვაო-მუსიკალური ფორმებს ეუფლება 20 მოსწავლე.</p>
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	<p>შეუფერხებლად ფუნქციონირებენ სახელოვნებო-საგანმანათლებლო სკოლები და ჯგუფები. ცენტრის მონაწილეობს მუნიციპალიტეტში დაგეგმილ სახელოვნებო, საგანმანათლებლო, კულტურულ, შემოქმედებით აქტივობებში, ბენეფიციარები და პედაგოგები უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო რესურსებით, ადმინისტრაციისთვის და პედაგოგებისთვის უზრუნველყოფილია (მ/შორის დისტანციური საქმიანობისთვის) სამუშაო გარემო და პირობები.</p>

პროგრამის დასახელება	კოდი	კულტურის ღონისძიებების პროგრამა	2022 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
	05 02 04		94,5
პროგრამის განმახორციელებელი	სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური		
პროგრამის მიზანი და აღწერა	<p>პროგრამა ითვალისწინებს სენაკის მუნიციპალიტეტში სადღესასწაულო დღეებზე ღონისძიებების, ფესტივალების, ხალხური რეწვის ნიმუშების გამოფენა-პოპულარიზაციის, საქველმოქმედო აქციების, ლიტერატურულ-შემოქმედებითი საღამოების ორგანიზებას;</p> <p>კულტურული პროექტების თანადაფინანსებას;</p> <p>კულტურის სფეროში მოღვაწე ადამიანების, შემოქმედებითი ჯგუფების და ახალგაზრდების წახალისებას;</p> <p>კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვას და შენარჩუნებას;</p> <p>კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეების ტრანსპორტირებით უზრუნველყოფას.</p>		
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	<p>პროგრამის განხორციელების შედეგად შესაძლებელი იქნება მასობრივი ღონისძიებების ორგანიზება, მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის ზრდა, ადგილობრივი შემოქმედებითი ჯგუფების პოპულარიზაცია და მოსახლეობის კულტურულ ცხოვრებაში ჩართულობის ზრდა;</p> <p>კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება, აღდგენა, განვითარება და პოპულარიზაცია;</p> <p>პროგრამის განხორციელების შედეგად მოხდება კულტურის სფეროში მოღვაწე ადამიანების შემოქმედების წარმოჩენა, შედეგად გაიზრდება შემოქმედებით სფეროში მოღვაწე ადამიანების მოტივაცია.</p>		

პროგრამის დასახელება	კოდი	ახალგაზრდული ღონისძიებების პროგრამა	2022 წლის დაფინანსება (ათასი ლარი)
	05 03		30,3



პროგრამის განმახორციელებელი	სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური
პროგრამის მიზანი და აღწერა	<p>პროგრამის ფარგლებში ხორციელდება შემდეგი პროექტები:</p> <p>შეხვედრები ცნობილ ადამიანებთან, წიგნის მოყვარულთა კლუბი, ახალგაზრდობის საერთაშორისო დღის აღნიშვნა, ექსკურსიების ორგანიზება, შშმ ახალგაზრდობის ჩართულობის ორგანიზება სხვადასხვა ღონისძიებებში, ახალგაზრდული იდეების დაფინანსებისა და თანადაფინანსების პროგრამა.</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია სენაკის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის მიერ წარმოდგენილი სხვადასხვა პროექტის ფინანსური მხარდაჭერა, მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის ინტელექტუალური, ფიზიკური და სულიერი პოტენციალის გამოვლენა, ინოვაციური იდეების მქონე საინიციატივო ჯგუფების ხელშეწყობა.</p>
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	ახალგაზრდობისათვის მოტივაციის ამაღლება, მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოდგენილი ახალგაზრდული პროექტების დაფინანსება, რომლებიც დაკავშირებულია ახალგაზრდულ პოლიტიკასთან, შშმ ახალგაზრდობის ჩართულობა, წახალისებული ახალგაზრდობის, შემეცნებით ხონისძიებებში მონაწილე ახალგაზრდობის ცნობიერების ამაღლება, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია.

პროგრამის დასახელება	კოდი	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	2022 წლის დაფინანსება (ათასი ლარი)
	05 05		50,0
პროგრამის განმახორციელებელი	სენაკის მუნიციპალიტეტის მერია		
პროგრამის მიზანი და აღწერა	სენაკისა და ჩხოროწყის ეპარქიის განვითარებისათვის ხელშეწყობა		
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	რელიგიური ორგანიზაციების პირობების გაუმჯობესება		

პროგრამის დასახელება	კოდი	საინფორმაციო უზრუნველყოფის პროგრამა	2022 წლის დაფინანსება (ათასი ლარი)
	05 06		38,8
პროგრამის განმახორციელებელი	შპს საინფორმაციო ცენტრი		
პროგრამის მიზანი და აღწერა	მასობრივი საინფორმაციო გაზეთის „კოლხეთის“, გამოცემა, საგამომცემლო საქმიანობის წარმოება-თევში ორჯერ, წლის მანძილზე 24 ნომერი. მუნიციპალიტეტის მნიშვნელოვანი მოვლენების, პროექტების, ინფორმაციული უზრუნველყოფა, საჯარო და კერძო სექტორის, მიმდინარე პროცესების აღწერა, დაფიქსირება, მკითხველთა აზრის გათვალისწინება, მათი ჩართულობა აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ გაკეთებული თუ გასაკეთებელი საქმეების, მნიშვნელოვანი პროექტების, კულტურის, ხელოვნების, სპორტის, განათლების სფეროში მიმდინარე პროცესების გასაჯაროებით მკითხველთა ცნობიერების ამაღლება და ა.შ.		
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	მოსახლეობის საინფორმაციო უზრუნველყოფა		

მუხლი 17. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის ჯანმრთელობისა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათებით



უზრუნველყოფას. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს არა მხოლოდ მუნიციპალიტეტის, არამედ მთელი ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან. ქვეყანაში შექმნილი ეპიდსიტუაციიდან გამომდინარე „ახალი კორონავირუსული დაავადების COVID-19-ის მართვის სახ. პროგრამის „ახალი კორონავირუსით (SARS-COV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) დიაგნოსტიკის უზრუნველყოფის“ კომპონენტის ფარგლებში აქტიურად ხორციელდება ეპიდზედამხედველობა და კონტროლი თვითიზოლაციაში მყოფ პირებზე, ჩატარდება PSR (პისიარ) კვლევები.

ათას ლარში

ორგანიზაციული კოდი	დასახელება	2022 წლის პროგნოზი	2023 წლის პროგნოზი	2024 წლის პროგნოზი	2025 წლის პროგნოზი
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	1479,9	1406,9	1465,4	1455,9
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	663,7	689,2	714,7	659,2
06 01 01	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	218,7	218,7	218,7	218,7
06 01 02	ჯანმრთელობაგაუარესებულ მოქალაქეთა სტაციონალური, ამბულატორიული და მედიკამენტოზური მკურნალობის დაფინანსების და თანადაფინანსების პროგრამა	390,0	410,0	430,0	369,0
06 01 03	მედიკამენტოზური მკურნალობის დაფინანსება	50,0	55,0	60,0	65,0
06 01 04	დაწყებითი კლასის მოსწავლეთა პროფილაქტიკური გამოკვლევის პროგრამა	5,0	5,5	6,0	6,5
06 02	სოციალური დაცვა	816,2	717,7	750,7	796,7
06 02 01	მზრუნველობამოკლებულთა კვებით უზრუნველყოფა	270,5	270,0	284,0	298,0
06 02 02	მრავალშვილიან ოჯახებზე დახმარების პროგრამა	200,0	115,0	120,0	130,0
06 02 03	ბავშვებზე ზრუნვის პროგრამა	26,0	28,0	32,0	35,0
06 02 04	კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურება	18,7	18,7	18,7	18,7
06 02 06	ხანძრის შედეგად დაზარალებული მოქალაქეების დახმარების პროგრამა	34,0	38,0	40,0	45,0
06 02 07	სოციალური ადაპტაციისათვის სამზრუნველო ქსელის ღონისძიებების გატარების პროგრამა	20,0	22,0	24,0	26,0
06 02 08	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დახმარების პროგრამა	80,0	85,0	90,0	100,0
06 02 09	სოციალური ღონისძიებების პროგრამა	9,0	9,0	9,0	10,0
06 02 10	თირკმლის ჩანაცვლებით თერაპიაზე მყოფი მოქალაქეების დახმარების პროგრამა	45,0	45,0	45,0	45,0
06 02 11	სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის სამშენებლო მასალებით დახმარების პროგრამა	0,0	0,0	0,0	0,0
06 02 12	დღის ცენტრ აიპ „ლაზარე-2015“ თანადაფინანსება	6,0	7,0	8,0	9,0
06 02 13	პროექტი „საქმიანობათა ცენტრი სენაკში უსაფრთხო გარემოსა და სიცოცხლის ხელშეწყობისათვის“ თანადაფინანსება	29,6	0,0	0,0	0,0
06 02 14	პროექტი „ვიზრუნოთ ჩვენს უფროს თაობაზე“	77,4	80,0	80,0	80,0



ჯანმრთელობის დაცვა

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, კერძოდ:

- ეპიდზედამხედველობის პროგრამას, რომელიც მოიცავს გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობას და კონტროლს; პირველადი ეპიდზედამხედველობის განხორციელებას; ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებების დაგეგმვას;
- იმუნოზაციის პროგრამას, რომელიც მოიცავს იმუნოპროფილაქტიკის დაგეგმვას და მასზე ანგარიშგებას დადგენილი წესის მიხედვით; იმუნოპროფილაქტიკაზე რუტინული სტატისტიკური ანგარიშგება; იმუნოპროფილაქტიკის მონაცემთა რუტინულ ანალიზს, შეფასებას, დაზუსტებას; ვაქცინების, სხვა ასაცრელი მასალის და ცივი ჯაჭვის ინვენტარის საჭიროების განსაზღვრას; ვაქცინათა, სხვა ასაცრელი მასალის ლოჯისტიკაზე ზედამხედველობას; დამხმარე ზედამხედველობის განხორციელებას მუნიციპალიტეტში შემავალ პჯდ დაწესებულებებში.
- პარაზიტოლოგიის პროგრამა, რომელიც მოიცავს პარაზიტული და ჰელმინთური დაავადებების სკრინინგულ კვლევას; მალარიის სკრინინგულ კვლევას კერებში და კერის გარშემო; მალარიის დიაგნოსტიკას, პროფილაქტიკური მკურნალობას.
- პროფილაქტიკური მედიცინა, რომელიც მოიცავს საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობას; საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობას; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარული ნორმების დაცვის ზედამხედველობას.
- ქვეყანაში შექმნილი ეპიდსიტუაციიდან გამომდინარე „ახალი კორონავირუსული დაავადების COVID-19-ის მართვის სახ. პროგრამის „ახალი კორონავირუსით (SARS-COV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) დიაგნოსტიკის უზრუნველყოფის“ კომპონენტის ფარგლებში აქტიურად ხორციელდება ეპიდზედამხედველობა და კონტროლი თვითიზოლაციაში მყოფ პირებზე, ტარდება PSR (პისიარ) კვლევები.

პროგრამის დასახელება	კოდი	საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამა	2022 წლის დაფინანსება (ათასი ლარი)
	06 01 01		218,7
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი		
პროგრამის მიზანი და აღწერა	<p>მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის წინაშე მდგარი ამოცანების შესრულება არსებული რეალობისადმი მიდგომების ახლებურად გააზრებას და რადიკალურ გარდაქმნებს ითხოვს, საზოგადოებრივი ჯანდაცვის პრობლემათა გადაჭრა მოსახლეობის მომსახურების მრავალფეროვნებაში, არსებულ პრობლემებთან ადაპტირებაში, ჯანმრთელობისათვის მოსალოდნელი საფრთხეებისა და რისკების თავიდან აცილებაში მდგომარეობს. თვითმმართველი ერთეულების უფლებამოსილებები საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში არის: ა) საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა; ბ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაავადებების გავრცელების პრევენციის მიზნით დერატიზაციის, დეზინსექციისა და დეზინფექციის ღონისძიებათა ორგანიზება; გ) საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა. დ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარული ნორმების დაცვის ზედამხედველობა, მათ შორის საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების განმახორციელებელ დაწესებულებებში ინფექციების პრევენციისა და კონტროლის სანიტარული ნორმების დაცვის კონტროლი. ე) პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრით განსაზღვრული იმუნოპროფილაქტიკისათვის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მიწოდებული მასალების მიღების, შენახვისა და განაწილების უზრუნველყოფა სამედიცინო მომსახურების მიწოდებულებისათვის. ვ) პრევენციული და ეპიდემიოლოგიური კონტროლის ღონისძიებების გატარება ეპიდსაშიშროებისას. მუნიციპალიტეტის</p>		



	<p>ტერიტორიაზე პირველადი ეპიდვლევების ხელშეწყობა. თ)“ტუბერკულოზის კონტროლის შესახებ“საქართველოს კანონით მათთვის განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელება. პროგრამა შედგება შემდეგი ქვეპროგრამებისაგან: 1. ეპიდზედამხედველობა(მათ შორის ტუბერკულოზის კონტროლის პროგრამა). 2. მაღარიისა და პარაზიტოლოგიურ დაავადებათა კონტროლი. 3. ცხოველების ჯანსაღი წესის განვითარების ხელშეწყობა; 4. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობა.</p> <p>ქვეყანაში შექმნილი ეპიდსიტუაციიდან გამომდინარე „ახალი კორონავირუსული დაავადების COVID-19-ის მართვის სახ. პროგრამის „ახალი კორონავირუსით (SARS-COV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) დიაგნოსტიკის უზრუნველყოფის“ კომპონენტის ფარგლებში აქტიურად ხორციელდება ეპიდზედამხედველობა და კონტროლი თვითიზოლაციაში მყოფ პირებზე, ტარდება PSR (პისიარ) კვლევები.</p>
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	მეთვალყურეობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, ჯანმრთელობის რისკებისა და საგანგებო სიტუაციების მონიტორინგი და რეაგირება. მოსახლეობის ჯანმრთელობის შენარჩუნება და საგანგებო სიტუაციების ლოკალიზება.

პროგრამის დასახელება	კოდი	ჯანმრთელობაგაუარესებულ მოქალაქეთა სტაციონალური და ამბულატორიული მკურნალობის	2022 წლის დაფინანსება (ათასი ლარი)
	06 01 02	დაფინანსება და თანადაფინანსება	390,0
პროგრამის განმახორციელებელი	სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის	ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	
პროგრამის მიზანი და აღწერა		<p>პროგრამა ითვალისწინებს სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ჯანმრთელობაგაუარესებულ მოქალაქეთა სტაციონალური და ამბულატორიული მკურნალობის დაფინანსებასა და თანადაფინანსებას, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებას ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდის გზით. დახმარებით ისარგებლებენ მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული პირები წელიწადში ერთხელ, გამონაკლისი დაიმკვება მხოლოდ ონკოლოგიურ პაციენტებისა და 18 წლამდე მოზარდების შემთხვევაში.</p> <p>ა) სტაციონალური და ამბულატორიული მკურნალობის (გარდა ესთეტიკური ქირურგიის და კოსმეტიკური მიზნით ჩატარებული მკურნალობის შემთხვევებისა) თანადაფინანსება ბენეფიციარებს, დახმარება გაეწევათ გადასახდელი თანხის 50 %-ით, მაგრამ არა უმეტეს 1000 ლარისა.</p> <p>ბ) გადაუდებელი სტაციონალური მომსახურების შემთხვევაში, ბენეფიციარის სტაციონარიდან გამოწერამდე, მისი უფლებამოსილი პირი წარმოადგენს ბენეფიციარის პირადობის მოწმობას, მიმდინარე სამედიცინო ფორმა N100 და წინანსწარ ანგარიშგაქტურას, სადაც განსაზღვრული იქნება ბენეფიციარის გადასახდელი თანხა. დახმარება გაეწევათ გადასახდელი თანხის 50 %-ით, მაგრამ არა უმეტეს 1000 ლარისა.</p> <p>გ) სამკურნალო-სარეაბილიტაციო მკურნალობის დაფინანსება ბენეფიციარებს გაეწევათ გადასახდელი თანხის 50 %-ით, მაგრამ არაუმეტეს 500 ლარისა. (თითოეული ბენეფიციარის შემთხვევაში წლიური ლიმიტი 1000 ლარი)</p> <p>დ) მაღალტექნოლოგიური გამოკვლევების შემთხვევაში (მაგნიტო-რეზონანსული ტომოგრაფია; კომპიუტერული ტომოგრაფია; პოზიტრონულ-ემისიური კომპიუტერული ტომოგრაფია თანადაფინანსება განხორციელდება მხოლოდ სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან ბაზაში რეგისტრირებული 100 000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე ბენეფიციარებზე, 18 წლამდე მოზარდებზე და ონკოლოგიურ პაციენტებზე. მაღალტექნოლოგიური გამოკვლევების დაფინანსება ბენეფიციარებს გაეწევათ გადასახდელი თანხის 50 %-ით, მაგრამ არაუმეტეს 500 ლარისა.</p>	
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი		დაავადებულთა სასიცოცხლო მნიშვნელობის მკურნალობის ჩატარების ხელშეწყობა. ბენეფიციარების ჯანმრთელობის მდგომარეობის სტაბილიზაცია.	

პროგრამის დასახელება	კოდი	მედიკამენტოზური მკურნალობის დაფინანსებისა და თანადაფინანსების ქვეპროგრამა	2022 წლის დაფინანსება (ათასი ლარი)
	06 01 03		50,0
პროგრამის განმახორციელებელი	სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის	ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	



პროგრამის მიზანი და აღწერა	<p>პროგრამის მიზანია სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების მედიკამენტებით უზრუნველყოფა ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდის გზით</p> <p>ა)სოციალურად დაუცველთა მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებულ 70 000 და ნაკლები სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახზე მედიკამენტოზური მკურნალობის საჭიროების შემთხვევაში დაფინანსების განხორციელება 70 ლარის ფარგლებში</p> <p>ბ)ონკოლოგიურ პაციენტთა ქიმიოთერაპიული და იმუნოთერაპიული მკურნალობისათვის საჭირო მედიკამენტების თანადაფინანსება ბენეფიციარებს გაეწევათ გადასახდელი თანხის 50 %-ით, მაგრამ არაუმეტეს 800 ლარისა.</p> <p>გ)თირკმლის ჩანაცვლებით თერაპიაზე მყოფ პაციენტთა მკურნალობისათვის საჭირო მედიკამენტების დაფინანსება განხორციელდება 100 ლარის ფარგლებში.</p> <p>დ) შშმ პირებზე, რომელთა ოჯახები არ არიან რეგისტრირებული სოციალურად დაუცველ ოჯახთა მონაცემთა ერთიან ბაზაში, მკურნალობისათვის საჭირო მედიკამენტების დაფინანსება განხორციელდება 100 ლარის ფარგლებში.</p>
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	დაავადებულთა მედიკამენტებით მკურნალობის ჩატარების ხელშეწყობა. ბენეფიციარების ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება.

პროგრამის დასახელება:	კოდი	დაწყებითი კლასის მოსწავლეთა პროფილაქტიკური გამოკვლევის პროგრამა	2022 წლის დაფინანსება (ათასი ლარი)
	06 01 04		5,0
პროგრამის განმახორციელებელი	სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური		
პროგრამის მიზანი და აღწერა	პროგრამა ითვალისწინებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში დაწყებითი კლასების მოსწავლეების პროფილაქტიკურ გამოკვლევას აღნიშნულ ასაკობრივ ჯგუფში ყველაზე უფრო გავრცელებული პათოლოგიების (ჰიპერაქტიუობისა და ჰიპერკინეზების სინდრომი, თვალის პათოლოგია და სქოლიოზი) ამ პათოლოგიების დროული მკურნალობისა და მათთან დაკავშირებული სხვა დაავადებების აღმოცენების პრევენციის მიზნით. პროგრამის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს სენაკის მუნიციპალიტეტის ყველა საჯარო და კერძო სკოლის დაწყებითი კლასების პირველი და მეორე კლასის მოსწავლეები		
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	გაზრდილია 1050 მოზარდისათვის ხელმისაწვდომობა აღნიშნულ ასაკობრივ ჯგუფში ყველაზე უფრო გავრცელებული პათოლოგიების პრევენციაზე. ჯანმრთელი მოზარდები		

მუხლი 18. სოციალური დაცვა

ითვალისწინებს სოციალური რისკების პრევენციისა და კრიზისზე დროული რეაგირებას, მოწყვლადი ჯგუფებისა და პირების დაცვა-გადღიერების მიზნით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოსახლეობის სხვადასხვა ფენის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებით უზრუნველყოფას, კერძოდ: მუნიციპალიტეტის მოსახლეობის მზრუნველობამოკლებული ნაწილის კვებით უზრუნველყოფას, კანონმდებლობით გათვალისწინებულ სარიტუალო მომსახურებას, ყველაზე მოწყვლადი ჯგუფებისათვის სადღესასწაულო დღეებში დახმარებას, ხანძრის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი მოქალაქეების დახმარებას, სოციალური ადაპტაციის ხელშეწყობას, ოჯახური ძალადობის მსხვეპლთა დაცვას, ჯანმრთელობაგაუარესებულ მოქალაქეთა სტაციონარული, ამბულატორიული და მედიკამენტოზური მკურნალობის დაფინანსებასა და თანადაფინანსებას, თირკმლის ჩანაცვლებით თერაპიაზე მყოფი მოქალაქეების დახმარებას, იშვიათი დაავადების მქონე პირთა დახმარებას, მრავალშვილიან ოჯახებზე დახმარებას, დედ-მამით ობოლ ბავშვებზე დახმარებას, სოციალურად დაუცველი ოჯახების ბავშვთა ხელოვნური საკვებით უზრუნველყოფას. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა, ხანდაზმულთა სოციალურ დახმარებას, აგვისტოს ომის დროს ომში დაღუპულის ოჯახზე და მშვიდობიან მოქალაქეებზე დახმარებას, აღნიშნული პროგრამები მთლიანობაში უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.



პროგრამის დასახელება	კოდი	სენაკის მუნიციპალიტეტის მზრუნველობამოკლებულთა მოსახლეობის კვებით უზრუნველყოფის პროგრამა	2022 წლის დაფინანსება (ათასი ლარი)
	06 02 01		270,5
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის მზრუნველობამოკლებულთა კვების ცენტრი		
პროგრამის მიზანი და აღწერა	სოციალურად დაუცველი და მზრუნველობამოკლებული მოსახლეობის ყოფითი პირობების ხელშეწყობა. ა(ა)იპ სენაკის მზრუნველობამოკლებულთა კვების ცენტრის სასადილო ემსახურება სოციალურად დაუცველ ბენეფიციარებს ყოველდღიურად დღეში ერთჯერადი ცხელი საკვებით. რაციონში შედის სამი დასახელების მზა საკვები, სისტემატურად ხდება მოსარგებლე პირთა რაოდენობაში ცვლილებების შეტანა სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურთან არსებული კომისიის დასკვნის საფუძველზე, მომსახურებით სარგებლობენ აგრეთვე მზრუნველობამოკლებული ოჯახები, მარტოხელა მოხუცები		
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა უფასო კვებით მომსახურება		

პროგრამის დასახელება	კოდი	მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა	2022 წლის დაფინანსება (ათასი ლარი)
	06 02 02		200,0
პროგრამის განმახორციელებელი	სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური		
პროგრამის მიზანი და აღწერა	პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტში დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა, მრავალშვილიანი ოჯახების გაძლიერება ოჯახში ბავშვის აღზრდისა და სრულფასოვანი განვითარებისთვის აუცილებელი პირობების უზრუნველსაყოფად, სიღარიბის დასაძლევად და სიღარიბეში ჩავარდნის პრევენციისათვის ფინანსური დახმარების გაწევა. ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მრავალშვილიანი (4 და 4-ზე მეტი 18 წლამდე ასაკის ბავშვი) ოჯახების ყოველთვიური დახმარება თითოეულ ბავშვზე 40 ლარის ოდენობით;		
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	ქვეპროგრამით შესაძლებელი იქნება ყოველწლიურად 95 მრავალშვილიანი ოჯახის ფინანსური დახმარება-გაძლიერება.		

პროგრამის დასახელება	კოდი	ბავშვზე ზრუნვის პროგრამა	2022 წლის დაფინანსება (ათასი ლარი)
	06 02 03		26,0
პროგრამის განმახორციელებელი	სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური		
პროგრამის მიზანი და აღწერა	<ul style="list-style-type: none"> დედ-მამით ობოლ ბავშვებზე (18 წლამდე) დახმარებას, კერძოდ, ყოველთვიურად ერთ ბავშვზე გაიცემა 150 ლარი (2 ბენეფიციარი) იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პაციენტთა დახმარება. პროგრამა ითვალისწინებს თითოეულზე ყოველთვიურად 150 ლარის გაცემას (7 ბენეფიციარი) ბავშვთა ხელოვნური კვების პროდუქტებით უზრუნველყოფა - ქვეპროგრამის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ბავშვიანი ოჯახი, რომელმაც „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2020 წლის სახელმწიფო პროგრამით“ გათვალისწინებული „კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების დახმარების ქვეპროგრამის“ ფარგლებში მიმართა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ბავშვთა ხელოვნური კვების პროდუქტებით უზრუნველყოფის შესახებ და არის მოლოდინის რეჟიმში მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შექმნილი კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე. ქვეპროგრამა ითვალისწინებს ბავშვის ხელოვნური საკვების დაფინანსებას ერთ გაცემაზე არაუმეტეს 80 ლარის ოდენობით. 		



მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	ბავშვებისა და ბავშვიანი ოჯახების სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება, სიდატაკეში ან/და კრიზისში მყოფი ბავშვიანი ოჯახების პირველადი საჭიროებების დაკმაყოფილება.
----------------------------	--

პროგრამის დასახელება	კოდი	კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურება	2022 წლის დაფინანსება (ათასი ლარი)
	06 02 04		18,7
პროგრამის განმახორციელებელი	სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური		
პროგრამის მიზანი და აღწერა	პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურება, კერძოდ: გარდაცვლილი დევნილი მოქალაქის ოჯახზე 200 ლარი; ომის ვეტერანის ოჯახზე 250 ლარი.		
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	გარდაცვლილი ვეტერანის (ომის მონაწილე) და დევნილი ოჯახის წევრებს გაეწევათ მატერიალური დახმარება.		

პროგრამის დასახელება	კოდი	ხანძრის შედეგად დაზარალებული მოქალაქეების დახმარების პროგრამა	2022 წლის დაფინანსება (ათასი ლარი)
	06 02 06		34,0
პროგრამის განმახორციელებელი	სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური		
პროგრამის მიზანი და აღწერა	პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია: <ul style="list-style-type: none"> • ხანძრის შედეგად დაზარალებული მოქალაქეების დახმარება, კერძოდ: სრული ზარალის შემთხვევაში ერთ ოჯახზე 3000 ლარის ოდენობით; • ნაწილობრივი ზარალის შემთხვევაში 1000 ლარით. 		
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	16 ხანძრის შედეგად დაზარალებული მოქალაქის დახმარება-არსებული მდგომარეობის გაუმჯობესება		

პროგრამის დასახელება	კოდი	სოციალური ადაპტაციისათვის სამზრუნველო ქსელის და ძალადობის მსხვერპლთა დაცვის ღონისძიებების გატარების პროგრამა	2022 წლის დაფინანსება (ათასი ლარი)
	06 02 07		20,0
პროგრამის განმახორციელებელი	სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური		
